განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

სამუსიკო შემსრულებლობა

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

22-23.05.2019

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	245628496
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამუსიკო შემსრულებლობა (კლავიშიანი საკრავები; აკადემიური სიმღერა; საორკესტრო)
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	0805 სამუსიკო ხელოვნების მაგისტრი
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	რუსუდან თაყაიშვილი მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ქეთევან შენგელია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ალექსანდრე ჭოხონელიძე ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სამაგისტრო პროგრამა „სამუსიკო შემსრულებლობა" სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედებს 2014 წლიდან. პროგრამამ აკრედიტაცია მიიღო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით N 119 2014 წ. 10 ივნისს.

აკრედიტაციის ახალი სტანდარტების დაკმაყოფილების მიზნით, 2017 წლიდან დაიგეგმა პროგრამის განვითარებით დაინტერესებული მხარეების მოთხოვნათა კვლევა და პროგრამა განახლდა შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, პროგრამა ითვალისწინებს სამუსიკო შემსრულებლობის მიმართულებით ფორტეპიანოს, აკადემიური სიმღერის, საორკესტრო სპეციალობების შესაბამისი სასწავლო კურსების ერთობლიობას.

დამსაქმებლების, მუსიკოს-შემსრულებლების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების ჩართულობამ პროგრამის მომზადების პროცესში მნიშვნელოვნად გააუმჯობესა პროგრამის სასწავლო პროცესების სტრუქტურა. მათი მითითებების გათვალისწინებით დაიხვეწა პროგრამის შემადგენელი სასწავლო კურსების სწავლებისა და სწავლის მეთოდიკა, შეფასების მეთოდები, სწავლის შედეგები. გაფართოვდა სასწავლო კურსების თემატიკა, სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა და სხვ.

პროგრამაზე მუშაობის პროცესში მიზნის შესაბამისად შეიცვალა პროგრამის შინაარსი. სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან კონსულტაციების შედეგად აღარ ისწავლება *სწავლებისა და სწავლის ახალი ტექნოლოგიები* და *ზოგადი პედაგოგიკა. პედაგოგიური პრაქტიკა* მოიაზრება *სამუსიკო პედაგოგიკის* ნაწილად. საორკესტრო საკრავების მიმართულებით გაიზარდა საათების რაოდენობა და საორკესტრო კლასი; კვარტეტის კლასი და სასულე ინსტრუმენტების ანსამბლი ისწავლება 4-ვე სემესტრის მანძილზე. მნიშვნელოვანია, რომ პროგრამაში ჩაიდო თავისუფალი შემოქმედებითი პროექტი (5 კრედიტი), რომელსაც დამოუკებლად შეასრულებს სტუდენტი ან სტუდენტთა ჯგუფი და შეაფასებს კომისია.

სასწავლო კურსის სპეციფიკისა და მოცულობის, ასევე, სასწავლო კურსების მიზნებისა და შედეგების გათვალისწინებით, შემუშავდა შეფასების ადეკვატური მეთოდები და კრიტერიუმები.

საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს იმ სასწავლო დისციპლინებს, რომლებიც უზრუნველყოფს მომავალი მუსიკოს-შემსრულებლისთვის აუცილებელი ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეძენას; სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მუშაობა იმ უნარების დახვეწაზე, რაც წარმოადგენს პროფესიის განმსაზღვრელ საფუძველს, ერთი მხრივ, მუსიკოს-შემსრულებლის, მეორე მხრივ, სამუსიკო სკოლის მასწავლებლის კომპეტენციის ჩამოყალიბებას.

გამოვყოფთ პროგრამის ფარგლებში მომზადებულ სამაგისტრო ნაშრომებს, რომელთა თემატიკა უშუალოდ მომდინარეობს სტუდენტების ინტერესებიდან. სტუდენტები იკვლევენ მათთვის აქტუალურ საკითხებს რეპერტუართან, სწავლა-სწავლებასთან დაკავშირებით. მნიშვნელოვანია, რომ სამაგისტრო ნაშრომებს, როგორც სასწავლო რესურსს, იყენებენ პროგრამის სხვა სტუდენტები.

სამუსიკო შემსრულებლობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია შრომის ბაზარზე და უზრუნველყოფს კულტურის სფეროს თანამედროვე პროფესიონალების, მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას. სტუდენტთა დასაქმების მიზნით უნივერსიტეტში შექმნილია კარიერული მხარდაჭერის სამსახური.

აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

აკრედიტაციის ჯგუფის პირველი სამუშაო შეხვედრა შედგა 20 მაისს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში, სადაც გამოიკვეთა და განისაზღვრა პროგრამასთან მიმართ დაკავშირებული შეკითხვები. ვიზიტი სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში, როგორც დაგეგმილი იყო, შედგა 22 მაისს (15:00-18:15) და 23 მაისს (09:00-15:15). შეხვედრები წარიმართა განრიგის მიხედვით, რის შედეგადაც სამუშაო ჯგუფი შეხვდა პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში მონაწილე ყველა რგოლის წარმომადგენლებს: უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფის წარმომადგენლებს, პროგრამის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვა-ნელს, აკადემიურ და მიწვეულ პერსონალს, სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს, დამსაქმებლებს. სამუშაო ჯგუფმა დათვალიერა შენობა, აუდიტორიები, საკონცერტო დარბაზები, ინსტრუმენტები, ბიბლიოთეკა, ახალი შენობა. ვიზიტმა მშვიდ, თანამშრომლობის ატმოსფეროში ჩაიარა.
ვიზიტის დროს სამუშაო ჯგუფს შესაძლებლობა მიეცა, სრულად გასცნობოდა პროგრამასთან დაკავშირებულ მონაცემებს და პასუხი მიეღო ყველა არსებულ შეკითხვაზე. ვიზიტის ბოლოს აკრედიტაციის ექსპერტებმა გააცნეს პროგრამის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს ძირითადი მიგნებები.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

დოკუმენტაციის განხილვისა და ვიზიტის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ პროგრამა შესაბამისობაშია სტანდარტებთან.

ვიზიტის შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე საკითხი, რომლებიც გაუმჯობესებასა და დახვეწას საჭიროებს:

რეკომენდაციები

- კლავიშიანი საკრავების მიმართულებით პროგრამის სტრუქტურაში უნდა შევიდეს ცვლილება, კერძოდ, გაიზარდოს საკონტაქტო საათების რაოდენობა საკონცერტმაისტერო და კამერულ კლასებში
- საშემსრულებლო მიმართულებით მასტერკლასების დაგეგმვისას თანაბარი პირობები უნდა ჰქონდეს შეთავაზებული ყველა სტუდენტს, მაგალითად, შეიძლება დაინერგოს რეგისტრაციის/ონლაინ რეგისტრაციის სისტემა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ბოლო წლებში უნივერსიტეტში ფორტეპიანოს სპეციალობით სტუდენტთა რაოდენობა იკლებს. უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაცია ამ პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთ გზად მიიჩნევს უცხოეული სტუდენტების მიღებას, რისთვისაც იგეგმება უცხოური ენის სწავლების კურსის შეთავაზება

პერსონალისათვის. ფორტეპიანოს მიმართულებით სწავლის მსურველთა რაოდენობის კლება, სავარაუდოდ, სხვა სპეციალობების კურსდამთავრებულებთან შედარებით დასაქმების ნაკლები პერსპექტივის მიზეზითაც არის განპირობებული, მაგალითად, გარდა პედაგოგიური მოღვაწეობის პერსპექტივისა, საორკესტრო საკრავების მიმართულების სტუდენტების ძირითადი ნაწილი საქმდება აჭარის სიმფონიურ ორკესტრში, ხოლო აკადემიური სიმღერის მიმართულების სტუდენტებს სოლო კარიერის შესაძლებლობის გარდა აქვთ საგუნდო კოლექტივებში დასაქმების რეალური პერსპექტივა. შესაძლებელია, ბხსუ-ის მიერ კლავიშიანი საკრავების მაგისტრატურის სტუდენტებისათვის შეთავაზებული იყოს სტაჟირება მუსიკალურ ცენტრში, გაცვლითი პროგრამები საზღვარგარეთ, ასევე, საკონცერტმაისტერო, საანსამბლო და პედაგოგიური მოღვაწეობის პერსპექტივის უფრო აქტიური წარმოჩენა. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, ამ მიმართულებით პიარკამპანია ქვედა რგოლში, სამუსიკო სკოლების მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან უნდა წარიმართოს. სასურველი იქნება პიარკამპანიაში სტუდენტების რესურსის გამოყენება

- სტუდენტებმა და, ასევე, სამუსიკო სკოლების ხელმძღვანელებმაც გამოთქვეს სურვილი, ჩატარდეს სემინარები და მასტერკლასები როგორც სტუდენტების, ასევე სამუსიკო სკოლების მასწავლებლებისათვის. სტუდენტთა მხრიდან აღინიშნა სამუსიკო სკოლებში მოძველებული მეთოდებით სწავლების, ასევე, მოსწავლეთა მიმართ არასწორი დამოკიდებულების გამოვლინების შემთხვევები, რაც, თვლიან, კორელაციაშია მოსწავლეთა რაოდენობის კლებასთან სწავლების დაწყებით საფეხურზე. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მასწავლებელთა მხრიდან დამოკიდებულების შესაცვლელად საჭიროა სემინარების ჩატარება ზოგად პედაგოგიკაშიც. შესაძლოა, უნივერსიტეტმა შეიმუშავოს და შესთავაზოს რეგიონის სამუსიკო სკოლებს მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსებიც, რაც გამოიწვევს სასწავლო გარემოს ცვლილებას ქვედა რგოლში და მოსწავლეთა მხრიდან მოტივაციის გაზრდას
- სასურველია, გაძლიერდეს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის პროცესი. მართალია, უკვე იგეგმება სამი სტუდენტის მონაწილეობა გაცვლით პროგრამებში. უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტებს უცხოური ენის ცოდნის ამაღლებაში, მაგრამ, სასურველია, რომ ამ მოვლენას უფრო მასშტაბური სახე მიეცეს
- პროგრამის ხელმძღვანელი ითავსებს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის ფუნქციასაც, ამავე დროს, არის სხვა პროგრამის ხელმძღვანელიც. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, მისი უფლება-მოვალეობების გადანაწილება სხვა პერსონალზე, მათი დელეგირება ახალი კადრების მოზიდვისა და დასაქმების, საინტერესო თანამშრომლობის საწინდარი იქნება. რაც შეეხება აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდას, უნივერსიტეტს აქვს ამის საჭიროება და პოტენციალი მიწვეული სპეციალისტების სახით, რომლებიც სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებადაც გვევლინებიან
- სასურველი იქნება საათების რაოდენობის გაზრდა საკონცერტმაისტერო და კამერულ კლასში, რის საჭიროებასაც აკადემიური და მიწვეული პერსონალი და, ასევე, სტუდენტებიც აღნიშნავენ
- სასურველია სხვადასხვა სპეციალობის სტუდენტთა შორის კოლაბორაციის, შემოქმედებითი თანამშრომლობის ხელშეწყობა, მათი ჩართვა ერთობლივ საშემსრულებლო პროექტებში. თუმცა, სტუდენტების მიერ გამოთქმულ ამ ინიციატივას დააკმაყოფილებს სიახლე პროგრამაში - თავისუფალი შემოქმედებითი პროექტი ინდივიდუალური ან ჯგუფური დამოუკიდებელი სამუშაოს დასაგეგმად და შესასრულებლად, რისთვისაც სტუდენტებს 5 კრედიტი ეძლევათ. სტუდენტებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა მათთვის აგენტის, ანტერპრენიორის ყოლის საჭიროება, რაც, ექსპერტთა ჯგუფის აზრით, ადვილად მოსაგვარებელი უნდა იყოს, თუ

გავითვალისწინებთ, რომ უნივერსიტეტს აქვს შესაბამისი სპეციალობის საგანმანათლებლო პროგრამა კულტურის მენეჯმენტში. ექსპერტთა ჯგუფის აზრით, სტუდენტებს შორის ამ სახის თანამშრომლობა ორივე მხარისათვის იქნება სასარგებლო

- სასურველია შესასრულებელი რეპერტუარის არეალის გაზრდა და გაფართოება როგორც ძველი, ასევე თანამედროვე მუსიკის შესრულების გზით. ცალკეული პროექტების მიუხედავად, როგორიცაა ლექცია-კონცერტები, კონცერტები, ამას არ აქვს სისტემატური ხასიათი. იგივე უნდა ითქვას მუსიკის ისტორიის კურსზეც, მეოცე საუკუნის მუსიკის ისტორიის კურსი (სილაბუსში შესასწორებელია „მეოცე მუსიკის ისტორია“), სასურველია, შოსტაკოვიჩის შემოქმედების მერეც გაგრძელდეს
- თანამედროვე საგანმანათლებლო პროგრამის და, ზოგადად, უნივერსიტეტისათვის, განვითარებისა და მართვის სისტემატიზაციისათვის აუცილებელია ერთიან ელექტრონულ სისტემაზე გადასვლა, რაც დაგეგმილია უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ
- სასურველია პერსონალის პირადი დოკუმენტაციის ერთიან, უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულ ფორმატში წარმოდგენა
- სასურველია ინდივიდუალური ელექტრონული ფოსტის კორპორაციული მეილით ჩანაცვლება.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების სახით ქართულ მუსიკალურ კულტურას მნიშვნელოვანი კადრი ემატება როგორც რეგიონის, ასევე მთელი საქართველოს მასშტაბით. ამის დასტურია წარმატებულ შემოქმედებით პროექტებში, მაგალითად, ბათუმის მუსიკალურ ცენტრში ახლახან განხორციელებულ დადგმაში ჯ. პუჩინის ოპერა „ბოჰემას“ შემადგენლობაში აღიარებულ ქართველ და უცხოელ მომღერლებთან ერთად პროგრამის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მონაწილეობა სოლისტების, ორკესტრის მსახიობების სახით. ასევე, მათი მუშაობა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში და უცხოეთში. სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დიდი ნაწილი საქმდება რეგიონში როგორც სამუსიკო სკოლის პედაგოგი, სიმფონიური ორკესტრის, საგუნდო კოლექტივის წევრი ან სტაჟირებას გადის სხვადასხვა მუსიკალურ-შემოქმედებით კოლექტივში. პროგრამის კურსადმთავრებულები ასევე წარმატებით სწავლობენ და მოღვაწეობენ საზღვარგარეთაც.

განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

აკრედიტაციის წინა დასკვნის გაცნობის შესაძლებლობა სამუშაო ჯგუფს არ ჰქონია.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**

   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დოკუმენტაციის გაცნობისა და ვიზიტის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ,,სამუსიკო შემსრულებლობა“ შეესაბამება დასახულ მიზნებს, რომლებიც ითვალისწინებს ბაკალავრიატის საფეხურზე მიღებული ცოდნის გაღრმავებას, კვალიფიციური მუსიკოსისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების განვითარებას და ახალ საფეხურზე აყვანას. სამაგისტრო პროგრამით განსაზღვრული კურსები ითვალისწინებს მუსიკოს-შემსრულებლისა და სამუსიკო სკოლის პედაგოგისათვის აუცილებელი უნარების, ცოდნისა და ღირებულებების მიცემას. პროგრამის შედგენის პროცესში გათვალისწინებულია ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნები, რეგიონში არსებული მუსიკალური დაწესებულებების მოთხოვნები. საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებულია როგორც ინდივიდუალური საშემსრულებლო, ასევე თეორიული კურსები, რომლებიც ხელს უწყობს სამუსიკო ხელოვნების მაგისტრის კვალიფიკაციით განსაზღვრული პროფესიონალის ჩამოყალიბებას. პროგრამის მიზანი შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას, ასევე, მუსიკის ფაკულტეტის დებულებასა და სტრატეგიული განვითარების გეგმას. სამაგისტრო პროგრამის განხორციელებით სამომავლოდ შესაძლებელი იქნება რეგიონში არსებული კადრების დეფიციტის ეტაპობრივად დაძლევა. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კადრების მომზადებას აჭარის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრისთვის. პროგრამის განვითარებას ინტერნაციონალიზაციის მხრივ აფერხებს უცხოური ენის არცოდნა, თუმცა ბხსუ-ის ადმინისტრაცია გეგმავს გარკვეულ ხელშეწყობას ამ მიმართულებით. პროგრამაზე მუშაობის პროცესში მიზნის შესაბამისად შეიცვალა პროგრამის შინაარსი. აღარ ისწავლება *სწავლებისა და სწავლის ახალი ტექნოლოგიები* და *ზოგადი პედაგოგიკა* (ანალოგიური კურსების სწავლებას ითვალისწინებს საბაკალავრო პროგრამა). *პედაგოგიური პრაქტიკა* მოიაზრება *სამუსიკო პედაგოგიკის* ნაწილად. საორკესტრო საკრავების მიმართულებით გაიზარდა საათების რაოდენობა და საორკესტრო კლასი, კვარტეტის კლასი და სასულე ინსტრუმენტების ანსამბლი ისწავლება 4-ვე სემესტრის მანძილზე. მნიშვნელოვანია, რომ პროგრამაში ჩაიდო თავისუფალი შემოქმედებითი პროექტი (5 კრედიტი), რომელსაც დამოუკიდებლად შეასრულებს სტუდენტი ან სტუდენტთა ჯგუფი და შეაფასებს კომისია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამუსიკო შემსრულებლობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
- ბხსუ-ს მისია, მიზნები და სტრატეგიული განვითარების გეგმა
- ფაკულტეტის დებულება და სტრატეგიული განვითარების გეგმა
- შრომის ბაზრის და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი
- ინტერვიუები ადმინისტრაციასთან, პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, გაძლიერდეს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის პროცესი და სისტემატური გახდეს გაცვლით პროგრამებში სტუდენტთა მონაწილეობა

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

[redacted] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სწავლის შედეგები ფორმულირებულია მუსიკოს-შემსრულებლისა და სამუსიკო სკოლების პედაგოგის კვალიფიკაციის შესაფერისად გაწერილი ექვსი შედეგის სახით. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვას, შემუშავებას, ეფექტური განხორციელებისა და განვითარების ხელშეწყობასა და მონიტორინგს კოორდინირებას უწევს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. ბხსუ-ში საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ერთ-ერთ მექანიზმად გამოიყენება დამსაქმებელთა, სტუდენტთა გამოკითხვები, რომლებიც ტარდება ელექტრონული ფორმით. სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენება როგორც პირდაპირი, მაგალითად, სტუდენტთა აკადემიური შეფასებების ანალიზი, ასევე არაპირდაპირი, მაგალითად, სტუდენტთა გამოკითხვა, შეფასების მეთოდები, ასევე მიმდინარე შეფასებისა და გამოცდების ანალიზი, რომელიც იძლევა წარმოდგენას სწავლის შედეგების მიღწევის თაობაზე; ასევე, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, აკადემიური პერსონალის, დამსაქმებელთა გამოკითხვები.

2018-2019 სასწავლო წლიდან დაგეგმილია ლექციებსა და პრაქტიკულ მეცადინეობებზე დასწრება, რომელიც იძლევა საშუალებას, განისაზღვროს შეფასების მეთოდებისა და მათი განხორციელების რელევანტურობა.

არსებული მექანიზმების გამოყენებით ხორციელდება პროგრამის სწავლის შედეგების ანა-ლიზი და შეფასება პროგრამის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, რაც განსაზღვრავს პროგრამის განვითარების დადებით დინამიკას, კერძოდ, გარკვეული პერიოდულობით ხდება სილაბუსების განახლება, თანამედროვე სწავლების მეთოდების დანერგვა, შეფასების მრავალკომპონენტიანი ფორმებისა და კრიტერიუმების შემუშავება-დანერგვა, სასწავლო რესურსის (წიგნადი ფონდის, ქართულენოვანი რიდერების) განახლება და დახვეწა, თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების ორიენტირება დასაქმების ბაზრის მოთხოვნებზე.

პროგრამის კატალოგში წარმოდგენილ მიზნებისა და შედეგების რუკაში შედეგები ექვსი კატეგორიის მიხედვითაა წარმოდგენილი და მოიცავს მისანიჭებელი კვიალიფიკაციით განსაზღვრული კომპეტენციების სრულ სპექტრს. საერთო შედეგებთან ერთად გათვალისწინებულია კონკრეტული სპეციალობისათვის სპეციფიკური შედეგებიც, როგორიცაა

- *აკადემიური სიმღერის სპეციალობით ასევე აქვს ცოდნა სამსახიობო ხელოვნებაში, **რეჟისორთან მუშაობის გამოცდილება.***

წარმოდგენილი შედეგები რამდენიმე მსხვილ ასპექტად შეიძლება დაიყოს:

<u>**შემოქმედებით-საშემსრულებლო ასპექტი**</u>

- *აქვს სხვადასხვა ეპოქის მუსიკის სტილისტურ თავისებურებებში დამოუკიდებლად გარკვევის და გაანალიზების უნარი.* ***ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი***
- *შეუძლია შემოქმედებით-პრაქტიკული ხასიათის სამუშაოს შესრულება ხელმძღვანელის წინასწარ განსაზღვრული რეკომენდაციების მიხედვით.* ***ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი***

- *აქვს შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების უნარი, შეუძლია საკუთარი და სხვისი შემოქმედების შეფასება.* ***დასკვნის უნარი***
- *შეუძლია საშემსრულებლო ხელოვნების თანამედროვე პრინციპების გააზრება და გაზიარება.* ***დასკვნის უნარი***

<u>პედაგოგიური ასპექტი</u>

- *აქვს სამუსიკო პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის, ასევე პრაქტიკული პედაგოგიკის ცოდნა.* ***ცოდნა და გაცნობიერება***
- *აქვს მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან კომუნიკაციის უნარი.* ***კომუნიკაციის უნარი***

<u>ორგანიზების ასპექტი</u>

- *დამოუკიდებელი პროექტის მომზადების და პრეზენტაციის უნარი.* ***ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი***
- *შეუძლია შემოქმედებითი სამუშაოს დამოუკიდებლად შესრულება. სასწავლო პროცესის და საკუთარ თავზე მუშაობის განრიგის დაგეგმვა.* ***სწავლის უნარი***
- *აქვს სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერების და სტრატეგიულად დაგეგმვის უნარი.* ***სწავლის უნარი***

<u>სამეცნიერო მუშაობის ასპექტი</u>

- *აქვს განზოგადების, ანალიზის, კრიტიკული გააზრების, სისტემატიზაციის, პროგნოზირების უნარი.* ***დასკვნის უნარი***
- *აქვს სამაგისტრო ნაშრომის მოზადებისთვის აუცილებელი ცოდნა.* ***ცოდნა და გაცნობიერება***
- *იცნობს შემოქმედებით პრაქტიკაზე დაფუძნებული კვლევის მეთოდებს.* ***ცოდნა და გაცნობიერება***

<u>საზოგადოებრივი ასპექტი</u>

- *აცნობიერებს პროფესიულ და კოლექტიურ პასუხისმგებლობას.* ***ღირებულებები***
- *შეუძლია საზოგადოებრივ დისკუსიებში მონაწილეობა.* ***კომუნიკაციის უნარი***
- *აქვს უნარი კომუნიკაცია დაამყაროს შემოქმედებით ორგანიზაციებთან.* ***კომუნიკაციის უნარი***

პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს სტუდენტის მიერ შეძენილ ცოდნას, უნარებსა და პასუხისმგებლობებს, რომლებსაც ისახავს და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამუსიკო შემსრულებლობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი)
- პროგრამის კატალოგი
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა გამოკითხვის მასალები და ანალიზი
- ბხსუ-ის ვებგვერდი

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას და უშუალო კავშირშია პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან; სპეციფიკიდან გამომდინარე შემოქმედებით ტურზე ირკვევა კანდიდატის შესაბამისობა პროგრამით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან. სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობას წარმოადგენს სამუსიკო ხელოვნების ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი. მაგისტრანტობის კანდიდატები აბარებენ შიდასაუნივერსიტეტო გამოცდას საფორტეპიანო/აკადემიური სიმღერის/საორკესტრო სპეციალობით, რომელიც ფასდება 0-100 ქულით. გამოცდა ფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: • სტილის და ფორმის შეგრძნება • ტექნიკური სრულყოფილება • მხატვრული სახის გააზრება • სცენიურობა და არტისტიზმი. როგორც შენიშვნაშია მითითებული, „თითოეული კრიტერიუმის მიხედვით ცალკე შეფასება არ კეთდება“.სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტი სწავლის დაწყებამდე გაივლის უცხოური ენის დონის დასადგენ ტესტირებას. შემოქმედებითი ტურის პირობები და პროცედურები საჯარო და ხელმისაწვდომია - განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. ინფორმაცია ვრცელდება ასევე საინფორმაციო ბუკლეტების საშუალებით. გარდა ამისა, უნივერსიტეტის მიერ ბხსუ-ს სხვადასხვა პროგრამაზე ჩარიცხვის პირობების გაცნობის მიზნით ეწყობა შეხვედრები დასავლეთ საქართველოს სკოლებსა და რეგიონალურ რესურს-ცენტრებში. შემოქმედებითი ტურის პირობები და პროცედურები დამტკიცებულია ბხსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სამუსიკო შემსრულებლობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის წინაპირობა • სასწავლო პროცესების მარეგულირებელი წესი • სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები

- საინფორმაციო ბუკლეტები
- პროგრამის კატალოგი
- ბხსუ-ს ვებგვერდი

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამუსიკო შემსრულებლობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია ეფუძნება ხელოვნების უნივერსიტეტში მოქმედ „სასწავლო პროცესების მარეგულირებელ წესს“. პროგრამა შემუშავებულია მაგისტრის საფეხურისადმი ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნების შესაბამისად. საგანმანათლებლო

პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს (1 ECTS კრედიტის მოცულობა - 25 სთ), რაც შემდეგი სახითაა განაწილებული:

სპეციალობის ძირითადი კურსები - 82 ECTS კრედიტი;

სპეციალობის საერთო კურსები - 33 ECTS კრედიტი;

არჩევითი კურსები - 5 ECTS კრედიტი.

რაც ლოგიკურ თანაფარდობას წარმოადგენს აღნიშნული სპეციალობებისათვის.

პროგრამის შემადგენელი კომპონენტები მაგისტრს უყალიბებს ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებს, პროფესიულ უნარ-ჩვევებს, სიახლეების მოძიების, დამუშავების, ანალიზის, დასკვნის უნარს, ასწავლის თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას, ხელს უწყობს ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების ჩამოყალიბებას.

პროგრამის შედგენაში ჩართული არიან პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები, გათვალისწინებულია კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა მოთხოვნები. კერძოდ, სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან კონსულტაციების შედეგად აღარ ისწავლება *სწავლებისა და სწავლის ახალი ტექნოლოგიები* და *ზოგადი პედაგოგიკა. პედაგოგიური პრაქტიკა* მოიაზრება *სამუსიკო პედაგოგიკის* ნაწილად. საორკესტრო საკრავების მიმართულებით გაიზარდა საათების რაოდენობა და საორკესტრო კლასი, კვარტეტის კლასი და სასულე ინსტრუმენტების ანსამბლი ისწავლება 4-ვე სემესტრის მანძილზე.

სამაგისტრო საგანმანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გათვალიწინებული კურსების ქრონოლოგიური წყობა თანმიმდევრული და ლოგიკურია. დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე სტუდენტებთან ინდივიდუალური მეცადინეობები მიმდინარეობს. სწავლება ორიენტირებულია საშემსრულებლო ამოცანების თანდათანობით გართულებაზე და ეფუძნება უწყვეტი სწავლების მეთოდებს. კურსების შინაარსი ვითარდება ზოგადიდან კონკრეტულისაკენ, სასწავლო კურსები ერთმანეთიდან გამომდინარეობს და შინაარსობრივად თანმიმდევრულია: სწავლების პირველ სემესტრში სტუდენტი სპეციალურ (საშემსრულებლო) დისციპლინებთან ერთად თანმიმდევრულად სწავლობს მეოცე საუკუნის მუსიკის ისტორიის, თანამედროვე საშემსრულებლო ხელოვნების ისტორიის ძირითად საკითსებს, ასევე სამუსიკო პედაგოგიკის, მუსიკის ფსიქოლოგიისა და პრაქტიკული პედაგოგიკის მეთოდური საფუძვლების სასწავლო კურსებს. პროგრამის სტრუქტურა ითვალისწინებს სასწავლო კურსებს შორის ლოგიკურ კავშირს. ლოგიკურია შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობებიც, რაც შესაბამისი სილაბუსით განისაზღვრება.

სტუდენტებთან და კონკრეტული კურსების განმახორციელებელ პირებთან ინტერვიუს შედეგად გაირკვა, რომ კლავიშიანი საკრავების მიმართულებით პროგრამის სტრუქტურაში აუცილებელია შევიდეს ცვლილება, კერძოდ, გაიზარდოს საათების რაოდენობა საკონცერტმაისტერო და კამერული ანსამბლის კლასებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სასწავლო პროცესების მარეგულირებელი წესი (საგანმანათლებლო პროგრამების
- დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია)

- სამუსიკო შემსრულებლობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი);
- პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები;
- პროგრამის განმახორციელებელი პირების, სტუდენტების ინტერვიუების შედეგები;
- ბხსუ-ის ვებგვერდი.

რეკომენდაციები:

სტუდენტებთან და კონკრეტული კურსების განმახორციელებელ პირებთან ინტერვიუს შედეგად გაირკვა, რომ კლავიშიანი საკრავების მიმართულებით პროგრამის სტრუქტურაში აუცილებელია შევიდეს ცვლილება, კერძოდ, გაიზარდოს საათების რაოდენობა საკონცერტმაისტერო და კამერულ კლასებში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი საორკესტრო საკრავების მიმართულებით გაიზარდა საათების რაოდენობა და საორკესტრო კლასი, კვარტეტის კლასი და სასულე ინსტრუმენტების ანსამბლი ისწავლება 4-ვე სემესტრის მანძილზე.

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამის ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსების კომპეტენციები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს და უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს. განსაზღვრულია ლოგიკური თანმიმდევრობა სასწავლო კომპონენტებს შორის და მათი კავშირი პროგრამის შედეგებთან.

სასწავლო კურსების შინაარსი, კრედიტების რაოდენობა, საკონტაქტო საათების რაოდენობა საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას, სწავლა-სწავლების სხვადასხვა მეთოდები (ინდივიდუალური მეცადინეობა, ლექცია, ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მეცადინეობა, სემინარი, და სხვ.) შეესაბამება სასწავლო კურსების შინაარსსა და სწავლის შედეგებს.
სასწავლო კურსების დიდი ნაწილი წარმოადგენს შემოქმედებით-პრაქტიკულ დისციპლინებს, რომლებიც ხელს უწყობს სტუდენტის საშემსრულებლო უნარების განვითარებას, მცირე ნაწილი ეთმობა მუსიკალურ-თეორიულ დისციპლინებს და არჩევით საგნებს.

სწავლების მეთოდების შერჩევისას მთავარი აქცენტი გადატანილ იქნა სწავლის შედეგების მისაღწევად რელევანტური მეთოდებისა და აქტივობების შერჩევაზე. მეთოდების შერჩევის დროს გათვალისწინებული იქნა როგორც სასწავლო კურსის სპეციფიკა და შინაარსი, ასევე მისაღწევი შედეგები. სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევის კონკრეტული გზები და შეფასების კრიტერიუმები ასახულია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში.
საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსებით გათვალისწინებული სავალდებულო ლიტერატურა (წიგნადი და სანოტო ფონდი, ასევე ფონოტეკა) ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი სასწავლო წიგნადი ფონდი და პერიოდიკა. იგი შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებულ ლიტერატურას. სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ასევე, ითვალისწინებს უახლეს კვლევებს მოცემულ სფეროში/დარგში და უზრუნველყოფს პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას. სასწავლო კურსების ნაწილში მომზადებულია რიდერები, რომელთა ელექტრონული ვერსიები განთავსებულია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

o სასწავლო პროცესების მარეგულირებელი წესი (საგანმანათლებლო პროგრამების

დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია)

o სამუსიკო შემსრულებლობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი);

o პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები;

o პროგრამის შემუშავებაში ჩართული პირების მონაწილეობის მტკიცებულებები; o გამოკითხვის შედეგები; o ბხსუ-ს ვებგვერდი.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტის, როგორც მუსიკოს-შემსრულებლისა და სამუსიკო სკოლის პედაგოგის მომზადებას. წარმოდგენილი სილაბუსები ითვალისწინებს

სტუდენტისათვის დამოუკიდებელი საშემსრულებლო საქმიანობის შესაფერისი კომპეტენციის მიცემას. სამუსიკო შემსრულებლობის სამაგისტრო პროგრამა შედეგებისა და საფეხურის შესაბამისად, უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის როგორც პრაქტიკული უნარების გამომუშავებას, ასევე მათ ჩართვას სამეცნიერო/კვლევით/შემოქმედებით პროექტებში.
საფეხურის შესაბამისად, სტუდენტი ვალდებულია წარადგინოს როგორც შემოქმედებითი პროექტი, ასევე სამაგისტრო ნაშრომი. მე-4 სემესტრში გამოყოფილ 10-კრედიტიან სასწავლო კურსში 40 საათი ეთმობა ხელმძღვანელთან მუშაობას, რაც, ექსპერტთა ჯგუფის აზრით, სამეცნიერო კვლევის გამოცდილებას მისცემს მას.
შემოქმედებითი უნარების განვითარებისათვის მნიშვნელოვანია სტუდენტთა მიერ მომზადებული სხვადასხვა სახის პროექტები - როგორც ზოგიერთი სასწავლო კურსებით გათვალისწინებული, ასევე თავისუფალი შემოქმედებითი პროექტის სახითაც, რაც ახალი ინიციატივაა და 5 კრედიტის მოცულობითაა განსაზღვრული პროგრამაში.

სტუდენტები მონაწილეობენ ბხსუ-ის ორგანიზებით განხორციელებულ პროექტებში ,,მუსიკალური კოლაბორაციები“, ,,ბაროკოდან 21-ე საუკუნემდე“, ,,ქართული კინოს მუსიკალურ-თეატრალური ინტერპრეტაცია“.
საოპერო სტუდიის ყოველწლიური საანგარიშო პროექტი გულისხმობს საოპერო სცენების შესრულებას თეატრალური ელემენტებით.
მუსიკის ფაკულტეტის სტუდენტები მონაწილეობენ სამეცნიერო კონფერენციებშიც.
აკადემიური სიმღერის სპეციალობის სტუდენტები ჩართული იყვნენ მუსიკალური ცენტრის პროექტში ,,დებიუტი“, ასევე პროექტში ,,საოპერო ხელოვნების ისტორიიდან“, რომელიც ლექცია კონცერტის ფორმატში მიმდინარეობს.

აღსანიშნავია სექტემბრის თვეში დაგეგმილი 10-დღიანი საერთაშორისო ღონისძიება, სადაც მაგისტრანტებს სხვადასხვა ქვეყნის სტუდენტებთან განხორციელებულ კონცერტებსა და მასტერკლასებში მონაწილეობის საშუალებაც ექნებათ.

სტუდენტები მემორანდუმის საფუძველზე შემოქმედებით პრაქტიკას გადიან აჭარის სახელმწიფო ორკესტრსა და აჭარის სახელმწიფო კაპელაში.
მუსიკის ფაკულტეტი ყოველწლიურად მონაწილეობს აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს და ქალაქ ბათუმის მერიის მიერ კულტურის სფეროში გამოცხადებულ საკონკურსო პროგრამებში.

სტუდენტების მიერ გამოითქვა სურვილი, რომ გაფართოვდეს მასტერკლასების რაოდენობა და ასევე გამოთქვეს სურვილი, რომ მასტერკლასში მონაწილეობის მისაღებად გათვალისწინებული იქნას სტუდენტის სურვილი და, ნაკლებად, პედაგოგთა შეხედულებები, რის გამოც ეს პროცესი გარკვეულწილად ელიტარულ ხასიათს ატარებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამუსიკო შემსრულებლობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი)
- სასწავლო კურსის სილაბუსები
- სტატისტიკური მონაცემები სტუდენტთა ჩართულობის შესახებ შემოქმედებით პროექტებში
- მემორანდუმები პარტნიორ ორგანიზაციებთან
- პრაქტიკის დამადასტურებელი დოკუმენტი
- განხორციელებული პრაქტიკა
- მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან

- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები.

რეკომენდაციები:

მასტერკლასებისათვის უნდა შემუშავდეს სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის შესაფერისი სისტემა, მაგალითად ონლაინ რეგისტრაციის სისტემა და ამით ყველა სტუდენტს მიეცეს მონაწილეობის შესაძლებლობა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სწავლება-სწავლების მეთოდები შერჩეულია პროგრამის კომპონენტების სპეციფიკისა სტუდენტის ინდივიდუალური უნარების **(განსაკუთრებით სპეციალურ სამუსიკო**

დისციპლინებში) გათვალისწინებით და მითითებულია სილაბუსებში. პროგრამის სილაბუსებში გამოყენებული ადეკვატური მეთოდები უზრუნველყოფენ დაგეგმილი შედეგების მიღწევას, ხოლო თითოეულ კომპონენტში გამოყენებული მეთოდების ერთობლიობა - მთლიანად პროგრამით დაგეგმილი შედეგების მიღწევას.

სწავლების მეთოდები მრავალფეროვანია და მოიცავს:

ინდივიდუალურ მუშაობას სპეციალურ დისიპლინებში (სპეციალობა, კამერული ანსამბლი, საკონცერტმაიტეროს კლასი და ა.შ. ფორტეპიანოს, საორკესტრო საკრავების, აკადემიური სიმღერის), სადაც სტუდენტი უშუალოდ პროფესორ-მასწავლებლის დაკვირვების ქვეშ ავითარებს თავის საშემსრულებლო უნარებს. ამ შემთხვევაში სწავლება ორიენტირებულია სტუდენტის ინდივიდუალურ მონაცემებზე და სასწავლო პროცესიც შესაბამისად თითოეული სტუდენტის შემოქმედებითი შესაძლებლობების მიხედვით მიმდინარეობს.

ანსამბლურ მუშაობას კი მიმდინარეობს კვარტეტის, საანსამბლო კლასში და საოპერო სტუდიის კლასში.

საგანმანათლებლო პროგრამის ზოგადმუსიკალური და თეორიულის სასაწავლო კურსების ათვისებისას გამოიყენება: ახსნა–განმარტებითი, წერითი, ინდუქციის, დედუქციის მეთოდები; პრაქტიკული, დემონსტრირების, ანალიზის, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდები ხელს უწყობს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის ფორმირებას; დისკუსია/დებატით, ვერბალური და წერითი მეთოდების გამოყენებით სტუდენტი შეძლებს პრობლემების ანალიზს, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებას და დასკვნის გაკეთებას; ჯგუფური მუშაობა, დებატი, როლური თამაშები, ვერბალური, პრეზენტაციის მეთოდების გამოყენებით ხდება კომუნიკაციის უნარის ჩამოყალიბება.

სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება საფეხურს, ასევე კურსის შინაარსს და უზრუნველყოფს სილაბუსით გათავლისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. მაგალითად, სილაბუსში აკადემიური სიმღერა/კამერული ანსამბლი მითითებულია ინდივიდუალური მუშაობა, დემოსტრირების მეთოდი, პრაქტიკული მეთოდები.

კვარტეტის კლასში ახსნა-განმარტებითი მეთოდი; დემონსტრირების მეთოდი; პრაქტიკული მეთოდები; ჯგუფური მუშაობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა (სწავლა-სწავლის მეთოდები);
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ბხსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ინტერვიუ სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შეფასების კონკრეტული კრიტერიუმები და მეთოდები განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსით. რამდენად გამჭვირვალეა სტუდენტთა შეფასება, მოწმდება პერიოდული მონიტორინგის საშუალებით, რომლის დროსაც სტუდენტები კითხვარებში აფიქსირებენ თავიანთ აზრს. გამოკითხვას აწარმოებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სტუდენტის მიერ გაწეული შრომის შეფასება ითვალისწინებს: ა) შუალედურ შეფასებას, რაც ძირითადად მოიცავს სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას, ყოველდღიურ აქტიურობას და შუალედური გამოცდის შეფასებას. ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სტუდენტთა შეფასება ხორციელდება ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ შესაბამისად. სტუდენტი ფასდება 100 ქულიანი სისტემით, სადაც შუალედურ შეფასებას ეთმობა 60_ (0-60 ქულა), ხოლო დასკვნით გამოცდას 40_ (0-40 ქულა). თუმცა ამ წესის მიხედვით არაა წარმოდგენილი კურსი *სპეციალობა საორკესტრო ინსტრუმენტი*, სადაც * შუალედურ შემოწმებაზე - 30 * გამოცდა - 70 * აქტივობა - სტუდენტის მონაწილეობა ღია კონცერტებზე 10.

დაზუსტებას მოითხოვს. შეფასების კრიტერიუმები:

* შუალედურ შემოწმებაზე - 30
ტექსტის სწორად, სრულყოფილად დაკვრა, შესრულების ხარისხი
* კონკრეტული ტექნიკური ამოცანის დაძლევა
ნაწარმოების მხატვრული სახის სრულყოფილად გადმოცემა
* სტილისა და ფორმის შეგრძნება
* ტექნიკური სრულყოფილება
* გამოცდა - 70
- სცენიურობა
- არტისტიზმი
- ინსტრუმენტის სრულყოფილად ფლობა
- ინდივიდუალობა
* აქტივობა - სტუდენტის მონაწილეობა ღია კონცერტებზე 10.

ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრების თანახმად, ამგვარი, არა უნიფიცირებული, არამედ კონკრეტულ დისციპლინაზე მიმართული შეფასების სისტემის გამოყენება პედაგოგს ხელს შეუწყობს სასწავლო მიზნების მიღწევაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სასწავლო პროცესების მარეგულირებელი წესი (ბხსუ-ს შეფასების სისტემები; შეფასების შედეგების გასაჩივრების პროცედურა);
- სამუსიკო შემსრულებლობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი);
- პროგრამის კომპონენტების სილაბუსები (შეფასების ფორმები, კომპონენტები, მეთოდები);
- შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე განხორციელებული ცვლილებები;
- სწავლება-სწავლის მეთოდები;
- გამოკითხვის შედეგები;
- ბხსუ-ის ვებგვერდი.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს საშუალება აქვთ, მიიღონ შესაბამისი კონსულტაციები დაკავშირებული: სასწავლო პროცესთან, აკადემიურ მიღწევების გაუმჯობესებასთან და დასაქმებასთან. ინფორმაცია დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ თავსდება საინფორმაციო დაფაზე, ვებგვერდზე, სტუდენტებს ინფორმირებას უწევს სტუდენტური თვითმმართველობა, დეკანატი, დეპარტამენტი, პროგრამის ხელმძღვანელი. სასწავლო პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებით სტუდენტებს კონსულტაციას უწევს ფაკულტეტის ადმინისტრაცია, ხოლო აკადემიურ ნაწილში პასუხისმგებელია შესაბამისი დარგობრივი დეპარტამენტი და პროგრამაში ჩართული თითოეული პროფესორ-მასწავლებელი. კონსულტაციებისათვის გამოყოფილი საათები ან ცხრილი ბხსუ-ში არ არის, თუმცა ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ სტუდენტები საჭიროების შემთხვევაში იღებენ კონსულტაციებსა და დახმარებას აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალისგან.
სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ პროექტებში, კონცერტებში, საერთაშორისო თუ შიდა კონკურსებში. ასევე უნივერსიტეტში შექმნილია კარიერული მხარდაჭერის სამსახური. უნივერსიტეტში ორ წელიწადში ერთხელ ტარდება საერთაშორისო კონფერენცია, რომელშიც ერთ-ერთი მიმართულებაა მუსიკა. მუსიკის ფაკულტეტის მიერ ტარდება და იგეგმება ბევრი საინტერესო პროექტი - მასტერკლასები, კონცერტები, წარმოდგენები, გასვლითი კონცერტები რეგიონებში. მაისის თვეში ჩატარდა პროექტი „კოლბარაცია 2“, რომლის მიზანია ახალგაზრდა სტუნდენტ-შემსრულებლების გაერთიანება და ექსპერიმენტული საშემსრულებლო ჯგუფის შექმნა.
საჭიროების შემთხვევაში სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებულია ინდივიდუალური საათობრივი ბადის შეთავაზება მაგისტრანტებისთვის, მაგალითად, სამაგისტრო პროგრამაზე სწავლობს სტუდენტი ნათია გოქაძე, რომელსაც მის საჭიროებებზე მორგებული გრაფიკის მიხედვით უტარდება ლექციები. სასურველია, რომ არსებობდეს ბხსუ-ში ამგვარი შეთავაზების დამადასტურებელი დოკუმენტი.
2019 წლის სექტემბერში ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის თანაორგანიზებით გაიმართება საერთაშორისო მუსიკალური ფორუმი „Glomus (Global Music)“, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს ევროპის, ამერიკის შეერთებული შტატების, აზიის, აფრიკის, ავსტრალიის მუსიკის აკადემიების 100-ზე მეტი წარმომადგენელი და კონცერტებთან ერთად ჩატარდება მასტერკლასები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ბხსუ-ში ჩატარებული გამოკითხვის შედეგები
- ინტერვიუს შედეგები
- ბხსუ-ს ვებგვერდი

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • საკონსულტაციო საათების დაზუსტება და კონსულტაციების ცხრილის შემუშავება
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად, ბხსუ-ში სამაგისტრო ნაშრომი იქმნება სრული სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ ორი სავალდებულო მიმართულებით: შემოქმედებითი პროექტი და სამაგისტრო ნაშრომი, რომელთა ხელმძღვანელი შეიძლება იყოს სხვადასხვა ან ერთი პირი. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის პროცედურები განსაზღვრულია ბხსუ-ის „სასაწავლო პროგრამების განხორციელების წესის“ შესაბამისად. საშემსრულებლო და კვლევითი ნაწილები ფასდება 100-100 ქულით. თითოეულისათვის მოცემულია შეფასების კრიტერიუმების განსხვავებული, ნაშრომის ტიპის შესაფერისი სისტემა.. ნაშრომის როგორც საშემსრულებლო, ასევე კვლევითი ნაწილი ფასდება ცალკეული კრიტერიუმის მიხედვით გათვალისწინებული ქულების მიხედვით. ბხსუ-ში ვიზიტის დროს სამუშაო ჯგუფის წევრები გაეცნენ სამაგისტრო ნაშრომებს. წარმოდგენილი ნაშრომები ძირითადად, მოთხოვნების შესაბამისი იყო, თუმცა დაფიქსირდა მცირე ხარვეზები ლიტერატურის სიის გაფორმებათან დაკავშირებით.

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს როგორც აკადემიური, ასევე მოწვეული პერსონალის წარმომადგენელიც. სამაგისტრო ნაშრომებში კარგადაა წარმოჩენილი სტუდენტთა შემოქმედებითი და კვლევითი ინტერესები. მათ ხელმძღვანელებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ თემატიკის შერჩევა, ძირითადად, სტუდენტის ინტერესებიდან გამომდინარე, მისთვის აქტუალური საკითხების გათვალისწინებით ხდება, რაც მოიცავს საშემსრულებლო ხელოვნებასთან და რეპერტუართან დაკავშირებულ საკითხებს. აღსანიშნავია, რომ მუსიკის ფაკულტეტის სტუდენტები იყენებენ მათი წინამორბედების სამაგისტრო თემებს, როგორც სასწავლო რესურსს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამაგისტრო ნაშრომები ○ სამაგისტრო სწავლების დებულება ○ ინტერვიუ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია, მითითებული ტექნიკური ხარვეზები, რომლებიც უკავშირდება ლიტერატურის დამოწმებას, გამოსწორდეს და ნაშრომები სრულყოფილი სახით იყოს წარმოდგენილი.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას.

საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება მათი აკადემიური ხარისხისა და სასწავლო კურსის

შესაბამისობით, გამოცდილებით, მათ მიერ გამოქვეყნებული ნაშრომებით, კონფერენციებში მონაწილეობით და სხვა აქტივობებით (სახელმძღვანელო, მონოგრაფია, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობა და სხვ.), რაც ადასტურებს შესაბამის დარგში მათ კომპეტენტურობას. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია პერსონალის CV-იდან.

პროგრამაში ჩართული 10 აკადემიური პირი აფილირებულია ბხსუ-სთან. აკადემიური/მოწვეული პერსონალი ჩართულია პროგრამის განვითარებისა და სტუდენტთა კონსულტირების პროცესში.

პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება. იგი აქტიურადაა ჩართული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების პროცესში, მუდმივად მუშაობს პროფესორ-მასწავლებლებთან, სტუდენტებთან პროგრამის დახვეწაზე, სილაბუსების შინაარსის გაფართოებასა და პროგრამის ახალი სასწავლო ლიტერატურით უზრუნველყოფაზე. ხელს უწყობს სტუდენტთა ჩართულობას სამეცნიერო/კვლევით/შემოქმედებით პროექტებში. პერიოდულად, დეპარტამენტის პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად, აწყობს შეხვედრებს დამსაქმებლებთან პროგრამის გაცნობისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების კვლევის მიზნით. მუდმივი კონტაქტი აქვს კურსდამთავრებულებთან, ინფორმირებულია მათი კარიერული წინსვლის შესახებ, თავადაც ახდენს კურსდამთავრებულთა ინფორმირებას ვაკანსიების შესახებ. პროგრამის ხელმძღვანელი უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელების პროცესში. იგი ითავსებს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის ფუნქციასაც, ამავე დროს, არის სხვა პროგრამის ხელმძღვანელიც. ექსპერტთა ჯგუფის აზრით, არასასურველია ამდენი ფუნქციის დაკისრება ერთი პირისათვის და კარგი იქნებოდა მისი უფლება-მოვალეობების გადანაწილება სხვა პერსონალზე, მათი დელეგირება, რაც ახალი კადრების მოზიდვისა და საინტერესო თანამშრომლობის საწინდარი იქნება.

რაც შეეხება აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდას, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ უნივერსიტეტს აქვს აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდის საჭიროება და პოტენციალი იქ დასაქმებული მიწვეული სპეციალისტების სახით, რომლებიც სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებადაც გვევლინებიან.

პროგრამა უზრუნველყოფილია საჭირო რაოდენობის კონცერტმაისტერებითა და ილუსტრატორებით, მოწვეული სპეციალისტების სახით. პერსონალის საათობრივი დატვირთვა სრულ შესაბამისობაშია პროგრამასთან.

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას და სასწავლო პროცესის წარმართვას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პერსონალის პირადი საქმეები
- ბხუს-ს მომზადებისა და გადამზადების ღონისძიებათა გეგმა
- სამუშაო აღწერილობები
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია, გაიმიჯნოს და სხვადასხვა ადამიანი იკავებდეს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და პროგრამის ხელმძღვანელის თანამდებობებს.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დოკუმენტაციისა და ვიზიტის დროს მიღებული ინფორმაციით დასტურდება, რომ ბხსუ მუდმივად ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ

განვითარებაზე. ხორციელდება კონფერენციები, საჯარო ლექციები, ფესტივალები, კონკურსები. კვლევითი სამუშაო იბეჭდება უნივერსიტეტის გამომცემლობაში. ბხსუ-ის მუსიკის ფაკულტეტის ორგანიზებით ბათუმში ყოველწლიურად ტარდება გიორგი გარაყანიძის სახელობის ხალხური და სასულიერო მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი, რომელიც კონცერტებს და კონფერენციას მოიცავს. ორ წელიწადში ერთხელ ბხსუ-ის ორგანიზებით ტარდება მასშტაბური საერთაშორისო კონფერენცია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, რომელშიც მუსიკა ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს. 2019 წლის სექტემბერში ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის თანაორგანიზებით გაიმართება საერთაშორისო მუსიკალური ფორუმი „Glomus (Global Music)“, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს ევროპის, ამერიკის შეერთებული შტატების, აზიის, აფრიკის, ავსტრალიის მუსიკის აკადემიების 100-ზე მეტი წარმომადგენელი და კონცერტებთან ერთად ჩატარდება მასტერკლასები. ადმინისტრაცია გეგმავს პერსონალისათვის უცხოური ენის სწავლების ხელშეწყობას. პროგრამის ინტერნაციონალიზაციისათვის და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მიზნით, სასურველია გაცვლით პროექტებში საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური პერსონალის უფრო აქტიური ჩართვა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ კადრების მომზადების გეგმა ▪ ინტერვიუ აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან ▪ ინტერვიუ
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის პროგრამის ინტერნაციონალიზაციისათვის და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მიზნით, სასურველია გაცვლით პროექტებში საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური პერსონალის უფრო აქტიური ჩართვა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) საერთაშორისო ურთიერთობები, მობილობა.
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, საბიბლიოთეკო მატერიალური და ტექნიკური რესურსით. ბიბლიოთეკაში განთავსებულია სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა (მათ შორის ელექტრონულ მატარებლებზე არსებული), სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები (EBSCO Publishing, Open Biblio). სტუდენტები ინფორმირებულები არიან არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობის და მოხმარების წესების შესახებ. უნივერსიტეტის ახალი შენობა, სადაც გადასვლა იგეგმება სექტემბრიდან, შეესაბამება მაღალ სტანდარტებს და პროგრამის განხორციელების საჭიროებებს, როგორც სივრცის ორგანიზების, ისე სამშენებლო მასალის ჩათვლით (მაგალითად, ხის იატაკი), მოცემულია რამდენიმე, სხვადასხვა სახის საკონცერტო სივრცე, სამკითხველო დარბაზი, ბიბლიოთეკა, გათვალისწინებულია შშმ პირების საჭიროებები, შეძენილია ახალი ინსტრუმენტები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება ▪ ინტერვიუ სტუდენტებთან

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- [x] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებს, უზრუნველყოფს სასწავლო შემოქმედებითი პროცესის მიმდინარეობას საგანმანათლებლო ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, საგანმანათლებლო პროგრამების ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება უნივერსიტეტის ერთიან ბიუჯეტში ასახული შემოსავლებისა და

გასავლების ხარჯვითი კატეგორიების მიხედვით. ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში გათვალისწინებულია: პროგრამებში ჩართული პერსონალის შრომის ანაზღაურების, სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად საჭირო ტექნიკის, ინვენტარის, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვისა და კომუნალური დანახარჯები. პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება უნივერსიტეტის ერთიანი ბიუჯეტიდან, თუმცა დაწესებულება მუშაობს თითოეული პროგრამისათვის საკუთარი ბიუჯეტის გამოყოფაზე, რაც ამ ეტაპისთვის ვერ ხერხდება. ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში გათვალისწინებულია შრომის ანაზღაურების, სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად კომპიუტერული ტექნიკის, მუსიკალური საკრავებისა და სხვა ინვენტარის, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვისა და კომუნალური ხარჯები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში; • ბხსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 დეკემბრის №05-01/01 გადაწყვეტილება ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების თაობაზე“ და 2018 წლის 04 აპრილის №05-01/02 გადაწყვეტილება ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის 2018 წლის კორექტირებული ბიუჯეტის დამტკიცების თაობაზე“; • ინტერვიუ აკადემიურ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და ადმინიტრაციის ხელმძღვანელთან; • ბხსუ-ის ბიუჯეტი.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შიდა ხარისხის შეფასების პროცესში ჩართულია პროგრამაში დასაქმებული პერსონალი, სტუდენტები, დამსაქმებლები, რომლებიც თანამშრომლობენ უნივერსიტეტის ხარისხის შეფასების განხორციელების პროცესში, ასევე თანამშრომლობენ ადმინისტრაციის წევრებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების დროს და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად. სწავლების ხარისხის დადგენისა და განვითარების მიზნით უნივერსიტეტში შემუშავებულია „მუდმივი გაუმჯობესების ციკლი“ - „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“, რაც აისახება პროგრამაზე. სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით ბხსუ-ში შემუშავებულია ასევე სასწავლო და სამეცნიერო/შემოქმედებითი მუშაობის შეფასების წესი. შეფასებას ექვემდებარება: საგანმანათლებლო პროგრამები, სასწავლო პროცესი, ადამიანური და მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის ხარისხი. მაგალითად, კვარტეტისა და ჩასაბერი ანსამბლის კლასში გაზრდილი საათების რაოდენობა მიწვეული პერსონალის რეკომენდაციამ განაპირობა (იხილე შედეგი 2.2).

სამუშაო ჯგუფის მიერ გამოთქნული რეკომენდაცია საკონცერტმაისტერო და კამერული ანსამბლის დისციპლინებისათვის საათების გაზრდის თაობაზე ეკუთვნის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის წარმომადგენელს. იგივე პოზიციას გამოთქვამდნენ სტუდენტებიც. შეფასების და შემდგომი განვითარების მიზნით უნივერსიტეტი იყენებს SWOT ანალიზს. პროგრამების SWOT ანალიზის საფუძველზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუ-შავებს სამოქმედო გეგმებსა და რეკომენდაციებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების შედეგად ირკვევა, რომ პროგრამის მესვეურები, ადმინიტრაცია, ხარსხის უზრუნველყოფის სამსახური დაინტერესებულია და ითვალისწინებს როგორც სტუდენტებისა და პერსონალის შეხედულებებს პროგრამის განვითარების თაობაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში ○ ხარისხის სამსახურის მიერ კოორდინირებული კვლევის შედეგები, და განხორციელებული ცვლილებები; ○ ბხსუ-ს მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები და ,,კმაყოფილების კვლევის შეფასება“ ○ ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წამომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, თვითშეფასების ჯგუფთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის გარე ხარისხის შეფასების მექანიზმი ეფუძნება ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებას“ და ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებას“. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შესაბამისი ვადებისა და წარდგენის ფორმების დაცვით უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამა გაივლის აკრედიტაციას. უნივერსიტეტი წარადგენს ცენტრში განსახილველად ასევე თვითშეფასების წლიურ ანგარიშს.

გარე ხარისხის შეფასების მიზნით, უნივერსიტეტი მართავს შეხვედრებს დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან, რომელთა გამოკითხვის შედეგად შეიმუშავებს რეკომენდაციებს პროგრამის გასაუმჯობესებლად. უნივერსიტეტი ითვალისწინებს ასევე დამსაქმებლების შეფასების შედეგებს.

დამსაქმებლებთან, ბათუმის წამყვანი სამუსიკო სკოლების - ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლა-თერთმეტწლედის, რევაზ ლაღიძის სახელობის სამუსიკო სკოლის, მელიტონ ბალანჩივაძის ხელოვნების სკოლის დირექტორებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა მათი სურვილი, სამუსიკო სკოლების პედაგოგებისათვის ჩატარდეს მასტერკლასები. ინტერვიუების დროს გამოჩნდა მათ მიერ პროგრამის მაღალი შეფასება, გაირკვა, რომ ისინი რეკომენდაციას უწევენ თავიანთ მოსწავლეებს მომავალში ამ უნივერსიტეტის და, შესაბამისად, ამ პროგრამის სტუდენტებიც გახდნენ. ასევე, ცდილობენ, კურსის დასრულების შემდეგ ან დამთავრებამდეც დაასაქმონ პროგრამის სტუდენტები როგორც ილუსტრატორები, კონცერტმაისტერები და პედაგოგები.

ბაზრის კვლევის მონაცემებით, კურსდამთავრებულთა 70% მუშაობს თავისი სპეციალობის შესაბამისად. მათი უმეტესობა დასაქმებულია ბათუმისა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონების კულტურულ დაწესებულებშები. კითხვაზე, დაეხმარათ თუ არა უნივერსიტეტში მიღებული ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება დასაქმებაში, უმეტესობამ დადებითი პასუხი გასცა. კურსდამთავრებულთა 75 % პროცენტი ურჩევს სხვას ამ უნივერსიტეტში სწავლას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;

- ინტერვიუ კურსდამთავრებულთან, პროგრამის ხელმძღვანელთან.
- კურსდამთამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები
- დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები
- ბაზრის კვლევის მონაცემები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართვა ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დოკუმენტების გაცნობითა და ინტერვიუების შედეგებით დასტურდება, რომ უნივერსიტეტში ხორციელდება პროგრამის, სასწავლო პროცესის, გამოცდების მონიტორინგი, მიმდინარეობს ასევე სასწავლო და საგამოცდო მასალების შეფასების პროცესი და ამ მონაცემებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს პროგრამის დასახვეწად.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ტარდება სტუდენტთა გამოკითხვებიც ყოველი ძირითადი სასწავლო კურსის ბოლოს, სტუდენტები კითხვარების მეშვეობით აფასებენ აღნიშნულ კურსს. ასევე შემუშავებულია და აკადემიურ საბჭოზე დამტკიცდა ლექციაზე დაკვირვების ფორმაც. გამოკითხვების ანალიზის საფუძველზე მუშავდება და დგინდება საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კომპეტენციების მიღწევის დონე. განიხილება ასევე კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა წინადადებები საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შეტანის თაობაზე, რაც, შეიძლება, სასწავლო კურსების ჩანაცვლების, ძირითადი სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობის შეცვლის ან/და არჩევითი სასწავლო კურსების დამატების, სწავლების მეთოდების, სასწავლო მასალების და ლიტერატურის განახლების საფუძველი გახდეს. ყოველივე ეს წინაპირობაა პროგრამის განვითარებისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების შედეგები
- წარმოდგენილი რეკომენდაციების შედეგად განხორციელებული ცვლილებები;
- მონიტორინგის მექანიზმები, სხვადასხვა კითხვარის ფორმები
- აკადემიური პერსონალის კმაყოფილების კითხვარი;
- სასწავლო კურსის შეფასების კითხვარი;
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:
სამაგისტრო პროგრამა „სამუსიკო შემსრულებლობა“

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 39

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა რუსუდან თაყაიშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა ქეთევან შენგელია

სახელი, გვარი, ხელმოწერა ალექსანდრე ჭოხონელიძე